პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 5 იანვარი №4 (17649) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნდობა და დაფასება

24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღე

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

გურჯაანი. სამტრესტის გურჯაანის საწარმოო გაერთიანებაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად № 193 გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ზინაიდა არსენის ასული კვეჭაძე.**

გულრიფში. გულრიფშის ილიჩის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 386 გულრიფშის საარჩევნო ოლქში დასახელა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვალერიან ოსმანის ძე კობახია.**

ხელვაჩაური. დაბა ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 421 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში დასახელეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დავით დურსუნის ძე დიასამიძე.**

ზნაური. სოფელ ავნევის დავით გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზნაურის რაიონის № 438 ავნევის საარჩევნო ოლქში დასახელეს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ჰენრიხ ირაკლის ძე მარდანოვი.**

წულუკიძე. სოფელ მათხოჯის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წულუკიძის რაიონის № 291 მათხოჯის საარჩევნო ოლქში დასახელოს სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე.**

ბორბალო. ნინოწმინდის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი — ამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა [illegible] — [illegible] კანდიდატად გარდაბნის რაიონის № 91 დიდი ლოლოს საარჩევნო ოლქში დასახელონ მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი **მერი ლუარსაბის ასული მდივანი.**

სამტრედია. ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის რაიონის № 297 საჯავახოს საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ პროკურორი **ანზორ მიხეილის ძე ბარამაძე.**

წყალტუბო. ქვიტირის მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნე **ზურაბ ემელიანეს ძე უუბანეიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეა ქალაქ წყალტუბოს № 275 ქვიტირის საარჩევნო ოლქში საბჭოთა მეურნეობაში გამართულმა საერთო კრებამ.

ტყვარჩელი. ლაკობას სახელობის მაღაროთსამმართველოს № 3 მაღაროს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყვარჩელის № 369 აკარმარის საარჩევნო ოლქში დასახელეა მაღაროს მოწინავე მაღაროელი **ვალერი გვადის ძე კვიცინია.**

ქობულეთი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქობულეთის რაიონის № 416 ჩაქვის საარჩევნო ოლქში ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შოთა მათეს ძე ეცადაშვილი.** (საქინფორმი).

(დასასრული მე-2 გვ.)

სამოცდაცხრამეტის კვალი და ექო

მეხუთე დღეა, რაც ახალმა წელმა თავისი ანგარიში დაიწყო... მისი თითოეული დღე, თითოეული საათი სულ უფრო გვაახლოებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან, რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან, რომელთა შესახვედრადაც ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში დიდი მზადებაა, დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობაა.

ერთი სიტყვით, თავის უფლებებში შედის წელი ახალი და უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა მრავლისმეტყველი 1979, რომელიც კიდევ ერთი, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი ფურცელია ჩვენი რესპუბლიკის მდიდარ ბიოგრაფიაში. მან, მღელვარებითა და სიხარულით აღსავსე წელმა, ძლიერი, კეთილი კვალი დააჩნია საბჭოთა საქართველოს, თითოეული ჩვენგანის მთელ ცხოვრებას, დაგვიტოვა შრომის შესანიშნავი რიტმი, რომელიც ესტაფეტად გადაეცა ახალ წელს.

დიახ, ძლიერი და კეთილი კვალი... ვამბობთ ამ სიტყვებს და ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლდება ჩვენი ადამიანების მაძიებელი ბუნების, შრომითი შემართების, შემოქმედების ნათელი სურათები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის, რომელიც ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო კომკავშირის გარდამავალი წითელი დროშით, მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი გახდა ნამდვილად დამკვრელური მუშაობის წელი. გადაიდგა დაჯერებული პრაქტიკული ნაბიჯები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე. **წარმატებით განვითარდა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები, ამაღლდა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, შესრულდა სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის სოციალისტური ვალდებულებანი, რესპუბლიკის საწარმოებმა დავალების გადამეტებით 100 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია გამოუშვეს. გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.**

ნამდვილად გაგვახარეს სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც ვაჟკაცურად დაძლიეს უამინდობით გამოწვეული სიძნელენი. სწორედ **გასულ წელს მათ მოიყვანეს სარეკორდო მოსავალი** — დამზადდა 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 260 ათასი ტონა ციტრუსი, 577 ათასი ტონა ყურძენი, დიდი რაოდენობით მეცხოველეობის პროდუქტები, ბოსტნეული... ამ ვაჟკაცური შემართებისა და გარჯის დასტურია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი მისალმება საქართველოს მშრომელებისადმი.

ძნელია ყველა ჩვენი ნაშრომ-ნაამაგარის ერთად თავმოყრა და ჩამოთვლა. სწორედ **გასულ წელს ამოქმედდა ენგურჰესის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეოთხე აგრეგატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი დიდი სანარმოო სიმძლავრეები, მსუბუქი და კვების მრეწველობის სანარმოები, მეცხოველეობის კომპლექსები, თბილისის მეტროპოლიტენის ახალი სადგურები, აშენდა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, მოასფალტდა გზები, გაკეთდა მოედნები, ქუჩის გადასასვლელები** და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ! „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!“ ამ დევიზით **აშენდა ბევრი სკოლა, ბაგა და ბაღი, გასართობი და სპორტული მოედანი, გამოშვებულია ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, სხვა დიდძალი ნაწარმი ბავშვებისათვის.**

გასული წლის მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენაა **საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოება.**

მიღწევები ეკონომიკის სფეროში კი მნიშვნელოვანნილად განაპირობა ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის იმ ახალი საინტერესო ფორმებით გამდიდრებამ, რომლებიც დაიბადა ადამიანთა განწყობილების, მათი აზრის გათვალისწინებით. ეს კი „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ერთ-ერთი სანინდარია.

ჩვენში დამკვიდრდა სახალხო ზეიმების ჩატარების პრაქტიკა. ამის დასტურად მარტო თბილის-ქალაქობა, გარეჯობა და ახალგაზრდობის საახალწლო მეჯლისიც საკმარისია.

შემოქმედებითი შრომის მეტი სტიმული მიეცათ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების შოლვაწეებს. მათ შორის უფრო ღვაწლმოსილთ მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდებანი, გადაეცათ სხვადასხვა ჯილდოები.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: 1979 წელმა კიდევ უფრო ნათლად, ცხადზე უცხადესად დაადასტურა ის გაბედული და პრინციპული კურსის სისწორე, რომელსაც აგერ უკვე მერვე წელია ახორციელებს საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი **რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნისათვის, ეკონომიკისადმი, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანისადმი ხელმძღვანელობის შემოქმედებითი, ჭეშმარიტად ლენინური, პარტიული სტილის დამკვიდრებისათვის.**

გასული წლის მოვლენებსა და შედეგებში კვლავაც მთელი სინათლით გამოჩნდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის განსაკუთრებული ზრუნვა, რასაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკისათვის იჩენენ. ამის საუკეთესო დასტურია პარტიის თბილისის კომიტეტის, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბოლო წლების საქმიანობის შესახებ მიღებული დადგენილებანი. ჩვენს რესპუბლიკაზე ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლენაა დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

და ყოველივე ის, რასაც უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით გასულ, 1979 წელს მივაღწიეთ, თვალნათლივ მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის, მისი ადამიანების უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებზე, მეტად გულგასახარი შედეგები თითოეულ ჩვენთაგანს უსახავს რწმენას, რომ ხუთწლეულის დამამთავრებელი წელი, რომელიც ეს-ეს არის დაიწყო, უფრო ბარაქიანი, უფრო ხელნაყაიანი იქნება.

მაგრამ, როგორც გასული წლის ბოლო დღეებში საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, წარმატებებმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს, მან ახალი, უფრო დიდი შრომითი შემართებისათვის უნდა განგვაწყოს, რადგან 1980 წელმა თან მოიტანა გაცილებით მეტი საზრუნავი. გადასაჭრელი გვექნება გაცილებით რთული ამოცანები. ამ ახალმა წელმა ხომ, როგორც მეათე ხუთწლედის ბოლო წელმა, მთლიანად უნდა დაგვირგვინოს წინა ოთხი წლის გარჯა, ნაღვაწი!

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ამბობს ხალხი. ამიტომ კარგი შრომითი რიტმი და ტემპი ამთავითვე — აი რა არის ახლა საჭირო. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ ხალხის ის ენთუზიაზმი, რომელიც სწორედ უკანასკნელ ხანს მიღწეული შედეგებით არის გამოწვეული.

ეს ენთუზიაზმი, ადამიანთა ერთსულოვნება განსაკუთრებით ცხადად ჩანს როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო მზადებით. **ახლანდელ საარჩევნო კამპანიას ტონს აძლევს დღევანდელობა,** საარჩევნო კამპანია ეხმიანება იმ მოვლენებს, რომლებითაც ცხოვრობს მთელი ქვეყანა. **მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, ახალი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი! — აი რა არის დღეს თითოეული საბჭოთა მოქალაქის ღირსების საქმე, აი რა არის წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრების მთავარი დევიზი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ლენინის იუბილე აღინიშნება როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

ამასთან პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ამ მჩქეფარე დღეებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყოს ნეგატიურ მოვლენებთან შეუპოვარი, შემტევი ბრძოლის აუცილებლობა. იგი უნდა ვაწარმოოთ უფრო მეტი დაჟინებით, პრინციპულობით. ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტში საბჭოთა ადამიანის დიდ უფლებებთან ერთად ხაზგასმულია ის მოვალეობა, რომ პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომოს. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, ბრძოლა სახელმწიფო ქონების დატაცებისა და გაფლანგვის წინააღმდეგ, სამშობლოს ბუნებრივი რესურსების გაფრთხილება და დაცვა, ზრუნვა მომავლის ადამიანის აღზრდისათვის — ყოველივე ეს საქმის თავი და თავია, საზრუნავთა საზრუნავია.

რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება თავის ახალ ფაზაში შედის. მთავრდება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, იწყება მათი რეგისტრაცია. რესპუბლიკაში შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 440 და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 50.468 ოლქი. ეს კი მეტია, ვიდრე წინა არჩევნების დროს იყო. ამ დღეებში საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გვაცნობა, რომ **ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ შარშან იანვრისათვის ხუთ მილიონს გადააჭარბა. ჩვენს დედაქალაქში შეიქმნა ახალი, გლდანის რაიონი, რომლის მშრომელები ამჟამად თავიანთ პირველ კანდიდატურებს ასახელებენ.**

რესპუბლიკის მშრომელები ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ იმათ, ვინც თავდადებით შრომობს ქარხნებსა და ახალმშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, იღვნიან სამეცნიერო ლაბორატორიებსა და კულტურის დაწესებულებებში... დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან შრომითი კოლექტივების წინამძღოლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, უკანასკნელ ხანს დაწინაურებული კადრები, რომლებმაც, როგორც ხუთწლედის განვლილი ოთხწლეულის შედეგებიდან ჩანს, ყოველმხრივ გაამართლეს ნდობა.

წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება მძლავრად შლის ფრთებს. დღეს პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია არჩევნებისათვის მზადების ყველა ეტაპზე გონივრულად გამოიყენონ ორგანიზაციული და პროპაგანდისტული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის საოლქო თათბირები, მშრომელთა კრებები, ლექციები და მოხსენებები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, კინოფილმები და კედლის გაზეთები... აღმზრდელობითი საქმიანობის მთელი მდიდარი არსენალი.

ამ წინასაარჩევნო დღეებში მთელი ძალით უნდა გაისმოდეს ჩვენი პროპაგანდისტებისა და აგიტატორების გულმხურვალე სიტყვა. უნდა აღიკვეთოს, სადაც კი თავს იჩენს, ტრაბახისა და ბაქიბუქობის განწყობილება, ყოველმა პროპაგანდისტულმა სიტყვამ მშრომელებს უნდა გაუძლიეროს სწრაფვა — რაც შეიძლება მეტი ნვლილი შეიტანონ ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებაში.

მაშ ასე: ახალი წლის პირველი სამუშაო კვირა იწყრება... წინ უდიდესი და დაძაბული მუშაობა გველის, რომელიც უკავშირდება მომავალი ხუთწლედისათვის საფუძვლის შექმნას, პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიურ მზადებას.

რწმენა, ენთუზიაზმი, ერთსულოვნობა არის ჩვენი ბრჯენი და ხიდი, ჩვენი წინსწრაფვის საიმედო ჰირობა!

ერთსულოვნების ვითარებაში

რესპუბლიკაში მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო თათბირები, რომელთა მონაწილენი მხურვალედ უჭერენ მხარს ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც მშრომელთა საარჩევნო კრებებზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საზეიმო ვითარებაში, დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა ზუგდიდის რაიონის № 336 რუხის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირმა.

თათბირის გახსნისას საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზ. ლ. თოდუამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, რა შრომითი წარმატებანი მოიპოვეს არჩევნების, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სიტყვა ეძლევა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მოწინავე მეჩაიეს დ. პ. ფაციას. მან თქვა, რომ კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. ორატორმა მოუწოდა თათბირის ყველა მონაწილეს მხარი დაუჭირონ კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებას რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის დასახელების შესახებ.

თავისი კოლექტივების სახელით ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რუხის საშუალო სკოლის პედაგოგმა ლ. რ. თოდუამ, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ გ. დ. ჩაგანავამ, სოფელ ჩხორიის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ტ. მ. თორდიამ, ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეჩაიემ მ. კ. ჭითანავამ, სოფელ ტყაიის კოლმეურნეობის მეჩაიემ ც. ი. მიქავამ, სოფელ რიყის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ლ. გოგიამ, ამავე კოლმეურნეობის მეჩაიემ მ. გ. სარიამ, ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ინჟინერმა ა. ა. თორდიამ.

საოლქო საარჩევნო თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 336 რუხის საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე** და სთხოვონ მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ამ ოლქში. (საქინფორმი).

არჩევნების შესაბამისად

საბჭოთა აფხაზეთის ნათელი დღეები

წინა არჩევნებიდან დღემდე გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებენ და მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის მზადყოფნას უცხადებენ საბჭოთა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მშრომელები (იხილეთ გაზეთის მესამე გვერდი).

სურათებზე: ს. ცინცაძის პლაკატი; აფხაზეთის უხუცესი ამომრჩევლები; ჩაის პლანტაციაში.

ჯ. ლომაძის და ვ. მელიქიანის ფოტო.

ბ. ადლეიბა,

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

აფხაზეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საბჭოთა საქართველოს მშრომელებთან საერთო მწყობრში, დაიწყეს ახალი, 1980 წელი, რომელიც არჩევნებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო სამზადისით აღინიშნება.

ეს გარემოებანი გავალებს განსაკუთრებით პრინციპულად, მეტი მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით შეგიფასოთ მიღწეული მიჯნები, გაანალიზოთ გაწეული მუშაობა, ყოველი ჩვენი მშრომელის წვლილი საერთოსახალხო ბრძოლაში პარტიის XXV ყრილობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

განვლილი წელი ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. ეს იყო ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის თანამიმდევრულ განვითარებაში სულ უფრო მაღალი მიჯნების მიღწევისათვის, საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებისა და მიღწევებში ღირსეული წვლილის შეტანისათვის ბრძოლის წელი.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წელი. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა 1979 წელს მათ შესაბამისად 102,6 და 102 პროცენტით შესრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 11 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი. სასიხარულოა, რომ პროდუქციის მატება ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. თანაც ერთნახევარჯერ გადაეჯარბეთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან ნაკეთობათა გამოშვების დავალებას.

უდაოდ კარგია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საშენ მასალათა მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

წინასწარი მონაცემებით, ხუთწლედის განვლილი ოთხი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებლები აქვთ სოხუმს, გალისა და ოჩამჩირეს რაიონებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა კაპიტალური მშენებლობა. კერძოდ, ამოქმედდა 280 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მეცხრე ხუთწლედის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. შარშან შესრულდა საცხოვრებელი ბინებისა და განათლების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მშენებლობა სულ უფრო მტკიცედ ადგება ინდუსტრიალიზაციის გზას. ამიშადა ქალაქ სოხუმისა და ბზიფის სახლთსაშენებელი კომბინატები, რომლებიც სულ უფრო ზრდიან დაგეგმილი ნაკეთობის გამოშვების სიმძლავრეებს.

დიდი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მშრომელებმა. ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ხუთწლედისათვის დაგეგმილ მიჯნებს. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით აფხაზეთში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მოცულობა გაიზარდა თითქმის ერთნახევარჯერ, ციტრუსისა და ბოსტნეულისა — ოთხჯერ, სიმინდისა — სამჯერ და მეტად, ეთერზეთოვანი კულტურებისა 80 პროცენტით და მეტად, ხორცისა — 43 პროცენტით, რძის — 47 პროცენტით, კვერცხისა — 90 პროცენტით.

გარკვეული დადებითი ცვლილებები მოხდა მომსახურების სფეროში. მაგალითად, საცალო საქონელბრუნვამ შარშან თითქმის 485 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც წინა წლების მაჩვენებლებს აღემატება. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ 18 მილიონი მანეთს გადაამეტა, ანუ გეგმის 103,5 პროცენტი შეადგინა; თანაც სოფლად ამ მაჩვენებელმა 103,7 პროცენტს მიაღწია.

ცხადია, მიღწეული მომავალში იქნება საერთო წინსვლის ორიენტირი. ბევრ საწარმოში, მეურნეობასა და ორგანიზაციაში საგეგმო დავალებათა შესრულების პროცესში მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიღწევას.

ეს მიღწეულები შესაძლებელი გახდა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების გამიზნული მუშაობის შედეგად, რომლებმაც, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილებებით, ბევრი კარგი, საჭირო ღონისძიება განახორციელეს აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარებისათვის.

ამასთანავე ცალკეული მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ჩვენს მუშაობას არჩევნებიდან არჩევნებამდე, ჯერ კიდევ არ შეესაბამება დასახულ მიჯნებს, გვიჩვენებს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ცალკეული რგოლების საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, საკმარისი მუყაითობა და თანამიმდევრობა არ იგრძნობა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახული აქვთ ჩვენს სამინისტროებს, უწყებებსა და კოლექტივებს.

აი რატომ არის, რომ ჩვენი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი მიგვითითებს, მაქსიმალურად საგნობრივი უნდა იყოს, მოგვიწოდებს დავალებათა უთუო შესრულებისათვის, დამაჯერებლად, საქმის ცოდნით უპასუხებდეს ყველა საკითხს, რომლებიც დღეს პრობლემურია. აი მაშინ შეიძლებთ პარტიული სიტყვა გადაადინოთ შრომითს ენთუზიაზმად, მასების გარჯად, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ეს ხელს შეუწყობს მთელი პარტიული და სამეურნეო მუშაობის განუხრელ სრულყოფას. ჩვენ არც ერთი წუთით არ გვავიწყდება პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენი ვალია გადავაქციოთ 1980 წელი — არჩევნების წელი, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელი, დამკვრელური მუშაობის, ლენინურად მუშაობის წლად.

ამ მოწოდების განხორციელების მკაფიო ორიენტირებს, კონკრეტულ გზებს შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმად დასაბუთებული და დამრაზმველი სიტყვა, რომელიც ამ პლენუმზე წარმოითქვა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მითითებებით, პარტიის აფხაზეთის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები რაზმავენ მშრომელებს, რათა კიდევ უფრო გააქტიურონ სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სულ უფრო ფართოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. ეს მუშაობა განსაკუთრებით ძლიერდება ახლა, საარჩევნო კამპანიის დღეებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის ეროვნული მრეწველობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატარი სიგელით, მთელ რიგ თანამშრომლებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრისა“ და „საქართველოს სსრ რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ სპატარი წოდებები. (საქინფორმი).

სიცყვას საქმე დაამშვენებს

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სამრეწველო საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება გეგმების და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა შეასრულეს ვადამდე — 1979 წლის 10 დეკემბრისათვის, წლიური გეგმების ჯამით — 26 დეკემბრისათვის, ხოლო 1979 წლის გეგმა — შესაბამისად 1 და 31 დეკემბრისათვის. მეათე ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე ყოველწლიურმა ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა.

სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა ხუთწლედის ოთხი წლისა და 1979 წლის მანძილზე ვადამდე შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ წლების განმავლობაში ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 15 მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმატებით გაართვეს თავი ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმაც.

შრომის ნაყოფიერება მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე მშენებლობაში გაიზარდა 29, მრეწველობაში — 18, ხოლო „საქკოლმშენის“ ორგანიზაციებში — 31 პროცენტით.

1979 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 125 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლი, 9,5 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლები, 1,8 ათასი ადგილისათვის გაანგარიშებული სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, კიბრეთისა და მახარაძის პორ-პროდუქტების კომბინატები, მარნეულის საკონსერვო ქარხანა, ნაბაკევის, ბაილეთის, ბანძის ჩაის ფაბრიკები, საგარეჯოს, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკები, თელავის რეპროდუქტორი, წნორის წყლის, თელავის ღვინის ქარხნები, კომისის მეხოცრეობის კომპლექსი, ზნაურისა და ცხინვალის მეცხოველეობის კომპლექსები, ნოსირის სამშენებლო კონსტრუქციათა კომბინატი და სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნებით აღფრთოვანებული რესპუბლიკის სოფლის მშენებლები, რომლებმაც აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გაითვალისწინეს სამინისტროს სისტემის კოლექტივების ინიციატივა, იბმებიან 1980 წლის — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

— მეათე ხუთწლედის საიჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ კონსტატაციის დღისათვის — 1980 წლის 7 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიური გეგმების ჯამით — 26 დეკემბრისათვის; მრეწველობაში შესაბამისად — 1980 წლის 7 ოქტომბრისა და 5 დეკემბრისათვის; ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 50 მილიონი მანეთის საიჯარო სამუშაოთა მოცულობა და გამოუშვან 17 მილიონ მანეთამდე თანხის სამრეწველო პროდუქცია;

— სახელმწიფო და საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციები 1980 წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმას შეასრულებენ 30 დეკემბრისათვის, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას — 29 დეკემბრისათვის; წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით შეასრულებენ 0,5 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს და გამოუშვებენ 0,8 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას;

— ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის — 1980 წლის 22 აპრილისათვის უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმის შესრულება;

— უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდება 1979 წელთან შედარებით 8 პროცენტით;

— საექსპლოატაციოდ გადასცენ: გეგმის გადაჭარბებით 1000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, ზოგადსაგანმანათლებელი სკოლები — სასწავლო წლის დაწყებისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები — 7 ნოემბრისათვის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის სადგომები — დადგენილ ვადაზე 16 დღით ადრე, ჩაის ფაბრიკები — ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონისათვის, პირველადი მეღვინეობის ქარხნები — ყურძნის კრეფის სეზონისათვის, 15 ათასი დედაბოცვრისათვის გათვალისწინებული მებოცვრეობის კომპლექსები და 750-ადგილიანი სანატორიული კომპლექსები — დადგენილ ვადაზე 10 დღით ადრე;

— კვლავ სრულყონ დაგეგმვისა და მეურნეობრიობის მექანიზმი;

— განახორციელონ საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებები და 1980 წელს, ცდის წესით დანერგონ შემკვეთებისათვის მთლიანად მშენებლობადამთავრებული სამრეწველო საწარმოების გადაცემა შემდეგ ობიექტებზე:

— 8 მილიონი ბრიოლერის სიმძლავრის სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკა სოფელ კინდღაში (აფხაზეთის ასსრ);

წელიწადში 8 მილიონი ბრიოლერის სიმძლავრის სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკა ქ. კახაში;

— თერმულ წყლებზე მომუშავე 54 ჰექტარი სასათბურე კომბინატი სოფელ კინდღაში.

ამასთან დადგინდეს, რომ კომპლექსური მშენებლობის ეს ცდა ხორციელდება შუალედური გადასახდელების გარეშე, ანგარიშსწორება მოხდება მთლიანად მშენებლობადამთავრებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტებისათვის, რომლებიც ბანკის კრედიტების ხარჯზე აიგო:

— სრულყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის მართვის სისტემა სამრეწველო საწარმოებშიც, საექსპლოატაციოდ გადასცენ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი;

დაუმთავრებელი სამშენებლო წარმოების მოცულობა დაიყვანონ ნორმატივამდე იმ გზით, რომ თავი მოუყარონ ადამიანთა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ასამუშავებელ ობიექტებზე, აგრეთვე მაქსიმალურად დაიჩქარონ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა;

— არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების გადიდების მეოხებით მიაღწიონ, რომ გაიზარდოს სამრეწველო საწარმოთა ფონდუკუგება 0,5 კაპიკით 1979 წელთან შედარებით;

— გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება 0,2 პროცენტით მშენებლობასა და მრეწველობაში, შეამცირონ საიჯარო სამუშაოთა თვითღირებულება 0,2 პროცენტით დავალებასთან შედარებით;

— საკუთარი მშენებლობაში სამუშაოთა ღირებულება შეამცირონ 0,2 პროცენტით საგეგმო დავალების გადაჭარბებით;

— 0,3 პროცენტით შეამცირონ მშენებარე ობიექტების მასალატევადობა საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ მოცულობაზე გაანგარიშებით;

— დაზოგონ დადგენილი დავალების გათვალისწინებით ძირითადი საშენი მასალები, სათბობი და ელექტროენერგია: ცემენტი — 5,5 ათასი ტონა, ლითონი — 1,5 ათასი ტონა, დაუხარჯავი ხე-ტყე — 10,8 ათასი კუბური მეტრი, პირობითი სათბობი — 3 პროცენტი, თბოენერგია — 4 და ელექტროენერგია — 2 პროცენტი;

— განაგრძონ ახალი ტექნიკის მიღწევების დანერგვა;

—რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შემდგომი განვითარების გზით მშენებლობაში დაზოგონ 1,5 მილიონი მანეთი, მრეწველობაში — 0,5 მილიონი მანეთი;

— განაგრძონ ოერმული წყლების გამოყენებით სასათბურე კომპლექსების მშენებლობის (და შემდგომი ექსპლოატაციის) გამომდგარი პრაქტიკა, კერძოდ, ოხურეთს კომბინატის მეორე რიგის მშენებლობაზე, რაც მის 12 ჰექტარ ფართობზე გაანგარიშებით დაზოგავს დაახლოებით 15,0 ათას ტონა პირობითს სათბობს მისი საწარმოო საქმიანობის ერთი წლის მანძილზე;

— მანქანებისა და მექანიზმების, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის საშუალებების შემდგომი ეფექტიანი გამოყენების გზით, 1975 წელთან შედარებით მილიონი მანეთით შეამცირონ ხელით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა; მიწის სამუშაოების დროს — 28, სამღებრო სამუშაოების დროს — 24, არამადნეული მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დროს— 27, ცემენტისა — 29, ლითონკონსტრუქციებისა — 24, ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების დროს — 24 და სანათქაშო სამუშაოების დროს — 24 პროცენტით;

— საკუთარი ავტოტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და დამატებით გადაზიდონ 30 ათასი ტონა ტვირთი;

— საკუთარი ავტოტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა გაზარდონ 58 პროცენტამდე, ხოლო ავტომისამბენლებით ტვირთზიდვის ხვედრითი წონა გაზარდონ საერთო მოცულობის 5 პროცენტამდე;

— მშენებლობაში უფრო ფართოდ დანერგონ ბრიგადული იჯარა, ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდონ მათი საერთო რიცხვის 60 პროცენტამდე, გაადიდონ იმ ბრიგადების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ სვერდლოვსკელ მშენებელთა მეთოდით — „ბრიგადის ხუთწლიანი დავალება — მუშაკთა ნაკლები რიცხვით“ — 80-მდე, ხოლო ბახსოვის თაოსნობით — 300 ბრიგადამდე;

— უზრუნველყონ, რომ კვალიფიკაცია აიმაღლოს 650 ხელმძღვანელმა მუშაკმა და სპეციალისტმა, გეგმით გათვალისწინებული 538-ის ნაცვლად, 1.450 მუშამ — გეგმით გათვალისწინებული 1.400-ის ნაცვლად და მოამზადონ 1.750 ახალი მუშა გეგმით გათვალისწინებული 1.700-ის ნაცვლად;

— კვლავ იმუშაონ დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“, საქმიანობის ყველა რგოლში მიაღწიონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მინდობილი საქმისადმი თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას; შრომითს კოლექტივებში შექმნან ურთიერთდიდებისა და პატივისცემის ატმოსფერო.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რომ არ დაიშურებენ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, რათა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები და, იბმებიან რა სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, მოუწოდებენ მომმე რესპუბლიკების ყველა სოფლის მშენებელს ვადამდე შეასრულონ 1980 წლის— მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოს. კომპარტიის XXVI ყრილობას.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე.

ხილი ვიხილოთ!

როცა შევიტყვეთ, რომ ქარელელმა მეხილეებმა გეგმას გადაჭარბეს და 43.044 ტონა ხილი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ბუნებრივია, მებადე ვიკითხეთ. რომელმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ, ბრიგადამ თუ ცალკეულმა მეხილემ გამოიჩინა თავიდ რდაქციის ამ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ქარელის რაიკომის მეორე მდივანი გ. ბერუაშვილი.

— ქარელელებმა, რომ სახელმწიფოს დაგეგმილზე მეტი თესლოვანი და ჯურკოვანი ხილი მიჰყიდეს, ამაში ყველა მეხილეს მიუძღვის გარკვეული წვლილი, მაგრამ მათ შორის მაინც არიან რჩეულნი.

ქარგად იშრომეს ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა (დირექტორი ნ. კვიციანაძე). მათ 2.730 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 4.210 ტონა ხილი მიჰყიდეს. მოხსის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ქ. მამულაშვილი) ასევე გადაჭარბა გეგმას და 2.222 ტონა ხილი მიჰყიდა სახელმწიფოს.

ხილის მოყვანისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში თავი ისახელეს აგრეთვე ფეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობამ და ქარელის კოლმეურნეობამ.

50,5 ჰექტარ ბაღს უვლიდა ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადა (ბრიგადირი ო. შუბითიძე). ჭირვეული წელწადი კი იყო, მაგრამ ხეხილს კარგად უპატრონეს და 360 ტონის ნაცვლად 456 ტონა ხილი მოკრიფეს. ჰექტარზე 76,3 ცენტნერის ნაცვლად 90,3 ცენტნერი ხილი მოიყვანეს. ამ შრომითს გამარჯვებაში დიდია მეხილეების ს. გელაშვილის, ვ. შოშიაშვილის, ლ. იმერლიშვილის და სხვათა წვლილი.

როცა რაიონის დამაშვრალ მეხილეებზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ აუვლით ქარელის კოლმეურნეობის მეოთხე და მეშვიდე ბრიგადების მშრომელებს (ბრიგადიერები გ. ვახტანგიშვილი და გ. გიკაშვილი). მათაც დაგეგმილზე მეტი ხარისხოვანი ხილი ჩაბარეს სახელმწიფოს.

ქარელის რაიონის მეხილეები პირნათლები გამოვიდნენ ხალხისა და ქვეყნის წინაშე და ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თავისი სიტყვა თქვეს საკარმიდამო ბაღების პატრონებმა. მათ შორის გამორჩეულნი არიან დაბა ქარელის მკვიდრნი თ. მარკანიძე, და ა. სანდოძე, ბებნისელები შ. წიქარიშვილი, ავთ. სირბილაძე და გ. წიქარიშვილი. თითოეულმა 4 ათასიდან 5 ათას ტონამდე ხარისხოვანი ხილი მოკრიფა საკუთარ ბაღში და მიჰყიდა სახელმწიფოს.

ჯ. ჭურხული,
„კომუნისტის“ კორ.

პრობლემა გაერთიანებული ძალებით უნდა გადაწყდეს

ფლითიფლობით სულ უფრო მწვანდება თბილისი, რუსთავი და მათი შემოგარენი. მაგალითად, 1979 წელს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე 100 ჰექტარ ფართობზე გაშენდა პარკი „მეგობრობა“, იზრდება და ფართოვდება თბილისისა და რუსთავის გარშემო შექმნილი ტყე-პარკი.

ტყეების საშემოდგომო გაშენების შედეგები განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მწვანე ზონის გაფართოებისა და მშრომელთა დასვენების პირობების გაუმჯობესების მუდმივი საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე.

ამ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე, გამოვიდნენ თბილისის საქალაქო აღმასკომის მწვანე მშენებლობის და ბაღებისა და პარკების მეურნეობის სამმართველოს უფროსი გ. ბერიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. გიგაური, რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. უბერია, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ქალაგანიძე და სხვები.

აღინიშნა, რომ გასულ შემოდგომაზე თბილისისა და რუსთავის შემოგარენში ტყეები გაშენდა 479 ჰექტარ ფართობზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საგეგმო მაჩვენებელს, დარგულია თითქმის ორმოცი ნაირსახეობის 1700 ათასზე მეტი წიწვოვანი, ფოთლოვანი ხე და ხეხილი.

გამწვანების სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობა. თბილისსა და რუსთავში შეიქმნა ახალი პარკები, სკვერები, დეკორატიული კუთხეები.

ამასთან, აღინიშნა თათბირზე, გამწვანებისათვის მუშაობაში ბევრი ნაკლი გვაქვს. ჯერჯერობით თბილისისა და რუსთავის ყოველ მცხოვრებზე ბევრად ნაკლები მწვანე ნარგავი მოდის, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. უნდა გაუმჯობესდეს მწვანე მშენებლობის ხარისხიც.

მწვანე ზონა, არა მარტო უნდა გავაფართოოთ, არამედ უფრო მიმზიდველი და მისაწვდომიც ვაქციოთ.

მწვანე მშენებლობის პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მოტანიკოსებმა და არქიტექტორებმა, ქალაქმშენებლებმა და მწვანე მეურნეობათა მუშაკებმა. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ. ეს მნიშვნელოვანი საქმეა, იმიტომ რომ იგი ეხება პირველ რიგში ადამიანებისათვის, მათი ჯანმრთელობისა და კარგი გუნება-განწყობილებისათვის ზრუნვას.

სხდომაზე დამტკიცდა თბილისისა და რუსთავის გარშემო, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებსა და რაიონებში მწვანე ზონის გაფართოების საკოორდინაციო კომისიის მუშაობის 1980 წლის გეგმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარი, რომელზეც განიხილეს 1979 წლის მუშაობის შედეგები და ამოცანები, რომლებსაც სფუძველად უდევს „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა - წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. ნ. შჩუკინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, რესპუბლიკის პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, სსრ კავშირის პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ი. გვეტაძემ. მან გააანალიზა შინაგან საქმეთა ორგანოების 1979 წლის მუშაობა და დასახა ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მართლწესრიგის დაცვის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის პასუხისმგებლობის გაზრდას, ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

თათბირზე აღინიშნა, რომ დასახული ამოცანების ყველაზე სრულად გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა შინაგან საქმეთა ორგანოების საზოგადოებრიობასთან ურთიერთქმედების გაუმჯობესება, მუშათა კრებებისა და სოფლის ყრილობების, საწარმოთა პროფკომიტეტების საბჭოებისა და წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმიელებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების როლის ამაღლება.

თათბირმა განსაზღვრა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამართალდამცავი საქმიანობის დონის ყოველმხრივი ამაღლება, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება.

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

(დასასრული)

თბილისი. თბილისის კამოლმაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე, სოციალისტური შრომის გმირი **ვერა ბათურას ასული ქემაშვილი** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 25 დიდუბის საარჩევნო ოლქში კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრების მიერ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გამართულმა საარჩევნო კრებამ დაადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ფრუნზეს რაიონის № 55 ჯაჯის საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამ ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მიხეილ მიხეილის ძე ხანანაშვილი.**

სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს საბჭოს თბილისის ტრიკოტაჟის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 70 ნაპაირალის საარჩევნო ოლქში დაასახელა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე **ვიტალი ვასილის ძე სალტიკოვი.**

ქუთაისი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის № 258 ბოხაიძის საარჩევნო ოლქში ქუთაისის ავტოკომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

სოხუმი. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 362 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში დაასახელა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამ ინსტიტუტის დირექტორი **ბორის არკადის ძე ლაპინი.**

ბათუმი. ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის გემთმშენებელი ბრიგადის ბრიგადირი **ივანე გრიგოლის ძე ფურავსკი** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 401 გოგებაშვილის საარჩევნო ოლქში საწარმოს კოლექტივის საარჩევნო კრების მიერ.

ცხინვალი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გამართულ საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ცხინვალის № 431 ალრ მარქსის საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამ ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ბაგრატ ბესარიონის ძე ტეხოვი.**

(საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადი ზვირბგა

გმოზენ ცილისმწამებლური კამპანია

ბერლინი. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ავღანეთის დემოკრიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს ამ ქვეყნის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა, ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოლიდარობის კომიტეტის გენერალური მდივნის კ. კრიუგერის აქ გამოქვეყნებულ წერილში. ჩვენ ვიწონებთ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ავღანელ ხალხს საგარეო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო-დემოკრატიულმა ანტიიმპერიალისტურმა რევოლუციამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიმარჯვოს, თუ თანამიმდევრულად დაიცავენ მას გარეშე და შინაური მტრებისაგან — ასეთია ისტორიის კანონი.

დამასკო. სირიული გაზეთი „თიშრინი“ წერს: ამერიკის ადმინისტრაცია და მისი სატელიტები შეშფოთებული არიან საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სამხედრო თანამშრომლობით, რაც ხორციელდება ორი ქვეყნის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად. შეერთებული შტატები ცდილობს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ეს თანამშრომლობა მოაჩვენოს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის „ჩარევად“.

ეს ყალბი მტკიცებანი ვრცელდება მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებს უყრიან თავს სპარსეთის ყურეში, რათა ჩააბშონ ირანის რევოლუცია და კონტროლი დაუწესონ ნავთობის სამადოებს სპარსეთის ყურის რაიონში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის ადმინისტრაციისა ამგვარ განცხადებებს აკეთებს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გამონახოს შესაძლებლობანი ახლო აღმოსავლეთის რაიონში და მეწამული ზღვის სანაპიროზე ახალი სამხედრო ბაზების შექმნისათვის, რათა განახორციელოს აგრესიული მოქმედება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ ამ რეგიონში თავისი ინტერესების „დაცვის“ ნიღბით.

დასავლეთი ბერლინი. ავღანეთის რევოლუციურმა ძალებმა მტკიცედ მოიგერიეს შინაური და გარეშე რეაქციის ხრიკები, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყანა საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტრების ბანაკში მოექცეთ. ასე აფასებს ამ ქვეყანაში მომხდარ ამბებს დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ვარხატი“. ავღანეთის ხელმძღვანელებმა, წერს იგი, დროული და ენერგიული ზომები მიიღეს მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად. მათ საბჭოთა კავშირს სთხოვეს მოსვლა. სახალხო-დემოკრატიულმა ანტიიმპერიალისტურმა რევოლუციამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიმარჯვოს, თუ თანამიმდევრულად დაიცავენ მას გარეშე და შინაური მტრებისაგან — ასეთია ისტორიის კანონი.

ტოკიო. ბრაზილიის ეროვნული კონგრესი ამტკიცებს ბრაზილიის ეროვნული ბანკის ინფლაციურ ბიუჯეტს

ავღანეთის ამბები

ჟაბული, 4 იანვარი. ფრთაგაშლილ, ამაყ არწივს ბრჭყალებით ქალაქის კარიბჭის ოქროს გასაღები უჭირავს — ასეთია ჟაბულის ემბლემა, რომელიც ავღანეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის შენობის შესასვლელს ამშვენებს. ამ დღეებში განაკუთრებული ხალხმრავლობაა მუნიციპალიტეტში. ქალაქის მცხოვრენი — მუშები, ხელოსნები, ვაჭრები, მოსწავლეები — მოდიან აქ, რათა განაცხადონ, რომ მხარს უჭერენ რესპუბლიკის ახალ რევოლუციურ მთავრობას, ეხმაურონ, რომ მტკიცედ ჰქონდეთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმაროს აპრილის რევოლუციის ძონაპოვრათა შესანარჩუნებლად და გასამაგრებლად.

ახალი წლის პირველ დღეს აქ გამოიცა მთავრობის გაზეთის „ჰალქიათი ინგილაბე საურის“ („სიმართლე აპრილის რევოლუციის შესახებ“), აგრეთვე გაზეთის „ჟაბულ ნიუ ტაიმსის“ პირველი ნომრები.

მუშაობა განაახლა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიამ.

შეხედეთ: ავღანეთის სხვადასხვა პროვინციიდან და ქალაქიდან ნაკადივით მოედინება მასალები იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ფართო მასები უჭერენ მხარს ახალი მთავრობის პროგრამას.

ბევრ დეპეშაში ხაზგასმულია, რომ ახლა, როცა საბჭოთა კავშირი გამოეხმაურა ავღანეთის მთავრობისა და მთელი ხალხის თხოვნას და დახმარება გაუწია ჩვენს ქვეყანას, ეჭიქოდ. სამხედრო დახმარებაც, იმპერიალიზმმა სამჯერ უნდა გაზომოს, სანამ წამოიწყებდეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებულ პროვოკაციებს.

ი. კორნილოვი,
რ. მუსინი.

ფოტოინფორმაცია

მოკლედ

ყოველი მხრიდან

4 იანვარი

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ჯგუფმა უშიშროების საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვენ მოიწვიოს საბჭოს სხდომა „ავღანეთის საკითხის“ განსახილველად. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟ. ლეპერტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ აპირებს საბჭოს წევრებთან გამართოს წინასწარი კონსულტაციები ამ წინადადების გამო.

ტოკიო. იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. მიამოტო იაპონიის რადიომაუ

კონსტანტინე ლომია,

აფხაზი პოეტი

ზღვა როა, ისეა ყანაც...

იქ, სადაც დიდი გემის ხელა თავდება ყანა,
ჩამწკრივებულან ღობის განსწვრივ სავსე
ბეღლები;
ყვითელ-ყვითელი ტაროები იმგვარად
ჩანან,
ასე გგონია,
მზის ნამტვრევებს ხელით ეხები...
ო, შემოდგომავ,
დაილოცოს შენი მშვენება,
ზღვა როა ელვა-ჭექის მერე,
ისეა ყანაც....
გავცქერი ბეღლებს სიამაყით და
მეჩვენება;
ნავმისადგომთან დატვირთული გემები
დგანან.

● ●

ყაბალახი

ჰე, ყაბალახო, ვხედავ აშკარად,
ვერ გადურჩები გადაგვარებას;
ნეტავ ისეთი რა დაშავე,
რომ დაინწყების დაგკრა ქარებმა?!
ჰე, ყაბალახო, მომნატრებია
ცხენის ფაფართან შენი ფრიალი...
ეს ფიქრიც ლოდის მონამტვრევია,
გულზე რომ მაწევს ოხერ-ტიალი!..
მომნატრებია შენით ფარული
ეშმაკეული მზერა პატარძლის
თუ ერთ-ორ აფხაზს ჰკლავს სინანული,
სკივრებში გმალავს ასი, ათასი...
თუ მოვლენილ შემთხვევით ქალაქს,
შემოგხედავენ მანჭვით და გრეხით,
ან — გაიკვირვებს ვინმე იმგვარად,
თითქოს მუზეუმს აედგას ფეხი.
ერთხელ, აფხაზურ ქორწილში გახლდი,
იქ სიტყვა ბრძანა თამადამ ნალდი:
თეთრ ყაბალახში, სულ ასე წყვილად
შეაბერდითო ერთმანეთს ტკბილად!..
მერე ქალ-ვაჟი შეფრინდა წრეში,
დააგზნეს ცეცხლი აფხაზურ ცეკვის;
მათ ყაბალახის შვენოდათ ეში
და ყაბალახიც ცეკვავდა... მე კი
ასე ვინატრე: „ეჰ, ყაბალახო,
დალოცვილია შენი ფრიალი,
უშენოდ ცეკვაც ღმერთმა დალახვროს, —
რაა უცეცხლო ადამიანი?!.“

● ●

მიწისძვრა და აკვანი

მახსოვს, მიწისძვრა მოხდა ერთხელ
ქალაქ სოხუმში,
ცას მიაჩერდა დიდ-პატარა
წარბებმოღუშვით.
შიშმა მოიცვა ყველა ქუჩა,
სახლიც ყოველი,
თითქოს ეს იყო
ბოლო წამი ხალხის ცხოვრების...
მაგრამ ეწერა ყოველივეს
კეთილი ბოლო
და ტოტს ჩამონყდა
ორიოდე ნაყოფი მხოლოდ...
ულონო იყო იგი ბიძგი,
(არც ჩათვლი ბიძგად)
და მაინც ყველამ შეამჩნია
მიწა რომ იძრა.
მარტოდენ ერთმა
ვერაფერი გაიგო მაშინ,
ეს იყო დედა,
შვილს რომ აკვანს
ურნევდა სახლში...

● ●

მთიელი კაცის ხასიათი

მთიელმა კაცმა
შესაძლოა ძმას აწყენინოს,
ან — დას,
რომელიც
მასზე ფიქრში ათენებს ღამეს;
კუშტად მიმართოს კარის მეზობელს,
ვისგანაც დილით ცეცხლს აიღებს,
ვით ნანატრ ალერსს...
თუნდაც მეგობარს
უგულწრფელესს წაეკამათოს,
გადაარჩინა რომელმაც სიკვდილს,
ან — შეყვარებულს ატკინოს გული —
(თუმც სიცოცხლესაც ურჩევნია
საკუთარს იგი).
იქნებ დედასაც ჰკადროს აუგი,
ყველაზე ძვირფას ადამიანს,
ჭაღარა დედას...
სტუმარს კი, გულსაც,
თავის გულსაც ფეხქვეშ გაუგებს,
ფეხიც დაადგას, —
მკვახე სიტყვას ვერ გაუბედავს!..

● ●

ვარსკვლავი და სიტყვა

უთვალავი ვარსკვლავი უთვალავ გზას
კეცავს,
თვითეული მათგანი ალამაზებს ზეცას.
გულს შეუძრავს მაინც სიხარულის ტალღა.
ოდეს ასტრონომი აღმოაჩენს ახალს.
იმავ დღიდან იგი ცას ატყვია დაღად!..
საუბარიც ჩვენი მდიდარია სიტყვით,
ჭირია თუ ლხენა, სიტყვისაგან ითქმის.
გულს შეუძრავს მაინც სიხარულის ტალღა,
როს პოეტი სიტყვას აღმოაჩენს ახალს...
აღმოჩენის დღიდან, კაცთა მოდგმის წილად
ის ახალი სიტყვაც ვარსკვლავივით
ბრწყინავს!..

● ●

მხოლოდ მაშინ ვწერ...

ის თვითმფრინავი,
სადაც ახლა მე ვიმყოფები,
თითქოს და ზეცას სიმაღლეს სტაცებს...
ისე ავშორდი ღრუბლების ძაძებს,
აღარც კი მახსოვს,
ჩემი მინა,
ჩემი სოფელი...
ეს არის — მოვწყდი მშობლიურ სერებს
და უკვე ვნატრობ:
ნეტა, მალე დავბრუნდე უკან...
და სტრიქონებმაც,
სტრიქონებმაც არ მომასვენეს, —
მინა ჰშიოდათ,
მიწიერი ჰშიოდათ ლუკმა...
როცა ჩემს ქვემოთ ღრუბელია
და გულიც ვერ ძლებს,
მხოლოდ მაშინ ვწერ
სულ ყველაზე მიწიერ ლექსებს!..

● ●

ციცინათელები

გაზაფხული სუნთქავს ფართო მკერდით
და ხეები მწვანე ფერით ირთვებიან:
ბნელ ღამეში ციცინათელები
ქრებიან და...
ქრებიან და ინთებიან!..
რა აწუხებთ, რა ცეცხლი წვავთ, ნეტა?
რა დაკარგეს,
ბნელში რას ეხეტებიან?
სად არიან ჯგუფ-ჯგუფად თუ კენტად,
შუადღისას, კვირტები რომ ფეთქდებიან?!.
იქნებ, ღამის განათება ბრძანეს?
წკვარამ რიდეს ნაეკიდონ ლამპარივით?
იქნებ უნდათ გზა უჩვენონ მგზავრებს,
გზა უგზო და
მნუხრის ცვარით განბანილი?!.
აჰა, მივხვდი, ეს პანია ფრთები
ფუჭად როდი მისცემიან თრთოლვა-
შრიალს? —
ალბათ გრძნობენ ციცინათელები,
რომ ცხოვრების აზრი
ბნელთან ბრძოლაშია?!.

თარგმნა **ო. შალამბერიძემ.**



სურათებზე: გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე სვეტლანა ანშბა; გუდაუთის ჩაის ფაბრიკის ზეინკლები ა. ლაკობა და ი. ვასილიევი; ციტრუსების უხვი მოსავალი მოიწიეს სოხუმის რაიონის „აფსნის“ საბჭოთა მეურნეობაში.

ზამთარია, მაგრამ თბილი დღეები დგას აფხაზეთში. ეს სითბო მაღალ შრომითს გახწყობას, ახალ ენთუზიაზმს მატებს მშრომელი კაცის საქმიანობას მთასა თუ ბარში: მრეწველობის მუშაკებმა წარმატებით დაიწყეს ახალი წელი, ზამთრის სამუშაოებით დასაქმებულან სოფლის მშრომელები, მეურნის მზრუნველი ხელი ტრიალებს ციტრუსის ბაღებში, ჩაის პლანტაციებში, ვენახებში...

ამასთან, ტრადიციისამებრ, ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საბჭოთა აფხაზეთის მშრომელები აჯამებენ გასული წლის, და არა მარტო გასული წლის, არამედ წინა არჩევნებიდან მოყოლებული ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში გაწეული მუშაობის შედეგებს, სახავენ მომავლის ნათელ პერსპექტივებს.

და ჩვენ, ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელებს წილად გვხვდა ბედნიერება ამ მიღწევებსა და მომავალი არჩევნებისათვის მზადებაზე გიამბოთ, ყველას გაგაცნოთ აფხაზეთის მშრომელთა მიერ განვლილი სახელოვანი გზა მეათე ხუთწლედში, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მოხდა ამ ხნის მანძილზე.

პარტიის დიდი ზრუნვით არის გამთბარი ეს წლები. პარტიის სიბრძნით სავსეა ღონისძიებები, რომლებიც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის დაისახა.

და გვიხარია, რომ ყოველივე ამას კიდევ ერთხელ ვიხსენებთ ახლა, როცა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საბჭოთა საქართველოს, აფხაზეთის მშრომელები საგულდაგულოდ ემზადებიან დიდი ლენინის 110-ე წლისთავის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად.

გასული არჩევნებიდან დღემდე განვლილი წლები ოქროს

სტრიქონებით ჩაიწერა აფხაზეთის შრომითს მატიანეში. ეს იყო სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დაძაბული შრომის წლები.

სურათზე: ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ზეინკლები ა. ბერია და დ. ჯიქია. მათი თაოსნობით საამქროებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის; გულრიფშის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები ზ. მიმინოშვილი და ვ. თუთოვანი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან.

ს. კოროტკოვის ფოტო.

აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული მნიშვნელობის დადგენილების მიღება ნათლად მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჭეშმარიტად ლენინურ, ინტერნაციონალურ კურსს, რომელსაც ახორციელებენ მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად თანამდროვეობის გამოჩენილი მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

1978 წლის გაზაფხულზე მიღებული „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შორის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად უკვე გადაწყდა ბევრი საკითხი, რომლებიც ხელს უწყობენ აფხაზეთის მეცნიერებისა და კულტურის სწრაფ განვითარებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე საქმიანობის გაუმჯობესებას.

დღევანდელ აფხაზეთს სამართლიანად უწოდებენ ხალხთა ძმობის ოჯახს. მის ლაჟვარდოვან ცისქვეშ ცხოვრობს და შრომობს 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში აფხაზეთის მშრომელთა გამარჯვება მათი მნიშვნელოვანი წვლილია საქართველოს სსრ მშრომელთა საერთო მიღწევებში, და დღეს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებიც აღფრთოვანებული არიან ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც ახალწელისწინა დღეებში გაიმართა, ნათელყო, რომ სახალ-



ხო-სამეურნეო გეგმები პირნათლად სრულდება, წარმატებით ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის დიად გარდაქმნათა პროგრამა.

ხელისუფლების ორგანოების არჩევნები აფხაზეთში მუდამჟამ განსაკუთრებული დღესასწაულია. მასთან არის დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის აწმყო და მომავალი. აფხაზი ხალხის ისტორიულ განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ახალი ეპოქა დაიწყო, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აყვავდა ხალხთა ძმურ ოჯახში ეს მხარე. დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე მძლავრი ინდუსტრია — ქვანახშირის, ენერგეტიკული, ხელსაწყოთმშენებლობის, კვების, ადგილობრივი მრეწველობის სხვა დარგები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში ელექტროენერგიის გამომუშავება 600-ჯერ გადიდდა. მწყობრში ჩადგა ბევრი მსხვილი საწარმო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გამოიყენა მხარის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები უნიკალური სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, რამაც გლეხობას მოუტანა ბედნიერი, შემლებული ცხოვრება. აფხაზეთი გადაიქცა აყვავებული სუბტროპიკული მეურნეობის მხარედ, იგი გახდა ფართო მოხმარების ისეთი პროდუქტების ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი, როგორიც არის ჩაი, ციტრუსი, თამბაქო და ეთერზეთების ნედლეული.

აფხაზეთში ფართოდ გაჩაღდა საკურორტო მშენებლობა. ამ საქმის განვითარების შესახებ ლენინური დეკრეტის პრაქტიკული განხორციელების, პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის მეოხებით ავტონომიური რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპირო გადაიქცა ჯანმრთელობის ჭეშმარიტ სრულიად საკავშირო კერად, რესპუბლიკამ სახელი გაითქვა თავისი ძვირფასი ქალაქ-კურორტებით — გაგრით, ბიჭვინთით, სოხუმით, გუდაუთით, ახალი ათონით, გულრიფშით და სხვ.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელება. შეიძლება სასწაული ეწოდოს იმ ნახტომს, რომელიც ჩვენს მხარეში მოხდა სახალხო განათლების დარგში. რევოლუციამდელი აფხაზეთი იყო სრული უწიგნურობის მხარე, სადაც მეოცე საუკუნის დამდეგს ერთ სულ მოსახლეზე სახალხო განათლებისათვის გამოიყოფოდა მხოლოდ მეოთხედი კაპიკი. დღეს აფხაზეთში მოქმედებს 390-მდე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ბევრი საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ხოლო მოზრდილი მოსახლეობის 98 პროცენტზე მეტი წიგნიერია.

სიამაყით შეგვიძლია დღეს ვილაპარაკოთ მეცნიერული აზროვნების განვითარებაში მოპოვებული უდიდესი წარმატებების შესახებ. ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწეობს 5 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 50-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, 400-ზე მეტი კანდიდატი, არსებობს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელი.

სოხუმი მეცნიერებისა და სტუდენტთა ქალაქი გახდა. საკმარისია თქვას, რომ მარტო ორ უმაღლეს სასწავლებელში 10 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ჭეშმარიტად აყვავდა აფხაზი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება. აფხაზური საბჭოთა ლიტერატურა, რომლის ასაკიც მხოლოდ და მხოლოდ ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტია, ვითარდება რუსულ და ქართულ მოძმე ლიტერატურებთან განუხრელი ურთიერთკავშირით. ამ ნაყოფიერმა ურთიერთობამ და შემოქმედებითმა ურთიერთგამდიდრებამ ხელი შეუწყო აფხაზეთის მწერლებსა და პოეტებს შეექმნათ ბევრი ნთელი ნაწარმოები.

ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ახალი სიო შემოიტანა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა აფხაზეთის ასსრ თაობაზე. შეიქმნა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნი-



მძლავრე. არსებითად გადიდდება ჩვენი ინდუსტრიული ცენტრის — ტყვარჩელის სამრეწველო პოტენციალი. ნამდვილად უნიკალური ნაგებობა იქნება აგროსამრეწველო კომპლექსი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში მაღალთერმული წყლის წყაროს ბაზაზე, რომელიც 54 ჰექტარ ფართობს დაიკავებს.

დღითიდღე იკრებს ძალას აფხაზეთის ეკონომიკა. ყოველ კუთხეში იგრძნობა მეათე ხუთწლედის მძლავრი მაჯისცემა. განვლილ ოთხ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38 პროცენტით გაიზარდა და 1.637 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სასახელო საქმეებით აღინიშნეს გასული წლები აფხაზეთის სოფლის მშრომელებმა. არახელსაყრელი პირობების მიუხედავად ავტონომიურ რესპუბლიკაში პირნათლად შესრულდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დადგენილი 1979 წლის გეგმის ძირითადი დავალებები. შარშან აფხაზეთის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 84,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმაზე 10,4 ათასი ტონით მეტია და 1978 წელს მოკრეფილს 3,2 ათასი ტონით აღემატება.

სახელმწიფოს მიეყიდა 7,2 ათასი ტონა ყურძენი, 18 ათასი ტონა კენკროვანი და ყურკოვანი ხილი. შესრულდა პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის გეგმა, რომელიც 11 ათას ტონას ითვალისწინებდა, რძისა — 11,5 ათას ტონას. განსაკუთრებით დიდი გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დავალება.

აფხაზეთის მშრომელებმა ყველაფერი უნდა იღონონ ამისათვის, რომ მიაღწიონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კაპიტალური მშენებლობის მთელი რიგი დარგების ზრდის დასახულ ტემპებს და ეს მოითხოვს შემხვედრი გეგმების მიღების, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების და, რაც მთავარია, მათი წარმატებით შესრულების აუცილებლობას.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები მზად არიან ახალი გამარჯვებები მოიპოვონ ხალხის საკეთილდღეოდ, მათს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას ვერ დააბრკოლებს ვერავითარი სიძნელე, ხოლო ამ სიძნელეთა დაძლევისათვის, 1980 წლის გეგმების განხორციელებისათვის ჯერ კიდევ ეკონომიკის ბევრ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის საჭიროა განსაკუთრებული ორგანიზებულობა, კომუნისტების, აფხაზეთის ყველა მშრომელის ერთიანობა და დარაზმულობა. და როგორც ახლახან გამართულ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VI პლენუმზე ითქვა, ამ ამოცანების განხორციელება ჩვენს მშრომელებს ძალუძთ.

აფხაზეთში თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად შემუშავებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების

საბჭოთა აფხაზეთის ნათელი დღეები

ვერსიტეტი, ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობა. შარშან ამუშავდა აფხაზეთის ტელევიზია, გამოსცემა დაიწყო ახალმა აფხაზურმა ჟურნალებმა „აფსნი აყაზარამ“ („აფხაზეთის ხელოვნება“) და „აშკოლი აფსთაზაარემ“ („სკოლა და ცხოვრება“), საგრძნობლად გაიზარდა გამომცემლობა „ალაშარას“ პროდუქციის მოცულობა. ამჟამად სოხუმში მოქმედებს ორი დამოუკიდებელი თეატრი — აფხაზური და ქართული.

ხალინდელი დღე დიდ პერსპექტივებს უსახავს ავტონომიურ რესპუბლიკას. ერთიორად უნდა გაიზარდოს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ სი-

ღონისძიებანი. ჩვენთან უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა ილორის მეფრინველეობის ფაბრიკა. მოხდა ოჩამჩირისა და გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკების რეკონსტრუქცია, გუდაუთის რაიონში მოეწყო 1600 სული ღორის სასუქებელი მოედანი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელი მოედნები ქალაქ გაგრის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანებაში და სხვ.

წინა არჩევნების შემდეგ გასულ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. მწყობრში ჩადგა დრანდის სახლთსაშენებელი კომბინატი საცხოვრებელი სახლების 100 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სიმძლავრით და ბზიფის ექსპერიმენტული სახლსაშენებელი კომბინატი, აიგო რკინა-ბეტონის ხიდი ფიინარე გუმისთან, ქიმიური ქარხანა — სოხუმში, მწყობრში ჩადგა ენგურჰესის მეოთხე აგრეგატი და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დამატებითი სიმძლავრეები. სოხუმში აშენდა მშრალი ყინულისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანა, საექსპლოატაციოდ გადაეცა სოხუმის აგურის ქარხნის საწნეხ-მოსამზადებელი საამქრო, ახალი საკონდიტრო ფაბრიკა, დიდ და მცირეგამგზავნი ელექტროგადამცემი ხაზები, რომელთა საერთო სიგრძე 580 კილომეტრია. მწყობრში ჩადგა სანატორიუმ-საკურორტო დანიშნულების ობიექტები 2000-მდე საწოლით, აფხაზეთის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა სოხუმში და მუსიკალური სკოლა — გულრიფშის რაიონში.

ამ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 14 ათასი მოსწავლისათვის და სკოლამდელი დაწესებულებანი — 2 ათასი ბავშვისა ფოთოლი, რაც 1979 წელს 7,2 ათასი ტონა მეტია. ... ...

მოსაწონი და საამაყოა

თბილისის სამხატვრო აკადემია სტუმართა თვალით

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ თავისი არსებობის მანძილზე სამშობლოს უამრავი მაღალკვალიფიციური ხელოვანი აღუზარდა. ისინი წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში.

აკადემიაში ქართველების გვერდით აღიზარდნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი დ. ნალბანდიანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საკავშირო სამხატვრო აკადემიის წევრი, ლენინგრადის რეპინის სახელობის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის კათედრის გამგე ი. ნეპრინცევი, სომხეთის სსრ სახალხო მხატვრები ე. ისაბეკიანი, რ. სიმონიანი, გ. მირზოიანი, აზერბაიჯანის სსრ სახალხო მხატვრები ვ. კარიგდი, ე. ჰუსეინოვი, ვ. ნარიმეკოვი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ი. იურიევი და სხვები.

სასიამოვნოა ისიც, რომ მოძმე ერთა წარმომადგენლები სამხატვრო აკადემიაში ექვსი წლის სწავლის მანძილზე ქართულ ენასაც სწავლობენ და საკუთარი სურვილით ხშირად სახელმწიფო საკავალიფიკაციო კომისიის წინაშე სადიპლომო პროექტებს ქართულ ენაზე იცავენ.

ამჟამად სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობს მოძმე ხალხების 120-მდე წარმომადგენელი.

კურსდამთავრებულნი კი მადლიერებით იხსენებენ თბილისის აკადემიის დიდ როლს მათ აღზრდაში.

კულტურის ამ ცნობილ კერას სტუმრიც ბევრი ჰყავს ხოლმე. მკითხველისათვის საინტერესო იქნება მათი აზრი.

იტალიის პრეზიდენტმა ჯოვანი ლეონემ, რომელმაც დაათვალიერა სამხატვრო აკადემიის დარბაზები, ექსპონირებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ქმნილებები, თქვა: „ჩვენ, იტალიელებს, ბედმა გვარგუნა მსოფლიო სახვითი ხელოვნების ბევრი შედევრი. ამიტომ ამ მხრივ განებივრებული ვართ. მაგრამ, რაც აქ ვნახე, განსაცვიფრებელი, მოსაწონი და ნამდვილად საამაყოა“.

ბოლო ათი-თორმეტი წლის მანძილზე აკადემიაში იყვნენ საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, უნგრეთიდან, იაპონიიდან, იუგოსლავიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, თურქეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და დასავლეთ გერმანიიდან, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

აკადემიაში დაწვრილებით შეისწავლეს სასწავლო პროცესი ამერიკელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ჯ. ბონდმა, პროფესორმა ჯ. ხენცერმა. მათ აღნიშნეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ნიმუშების ღირსებები და აღიარეს, რომ ამერიკელი სპეციალისტები დიდი პატივისცემით იხსენიებენ ჩვენი ქანდაკების დიდოსტატს იაკობ ნიკოლაძეს, მის „ჩახრუხაძეს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დელეგაციის მეთაურმა, პროფესორმა ჰ. ერჰარდმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ბევრგან მიმიგზაურია, მაგრამ მართალი გითხრათ, თქვენთან რაც ვნახე, ეს საამაყოა. ასეთი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი ევროპაში ცოტა მეგულება“.

იაპონელმა მოქანდაკემ ჰ. ჰორინომ აღნიშნა: „საქართველოში პირველად ვარ, მოგვაწონს თქვენი აკადემია. პრესისა და ლიტერატურის საშუალებით ვიცით მისი მიღწევები. ახლა კი საკუთარი თვალით ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ იგი სამართლიანად არის სახელგანთქმული სწავლების ხარისხითა და შემოქმედებითი ატმოსფეროთი. იაპონიაში გვაქვს სახვითი ხელოვნების უმაღლესი სკოლა, ვფიქრობთ, თქვენთან ნანახის შემდეგ ბევრ რამეს გავიზიარებთ“.

ჰორინოს რჩევით თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივანი ვ. მიკო, საზოგადოების წევრები ი. ტალბუკო და მ. ხიტო, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ სამხატვრო სასწავლებლის მუშაობს.

ტრადიციად იქცა ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი მხატვრების ერთმანეთთან სტუმრობა. ვ. პოსპეშელმა, ვ. ზავედიმმა დიდად მოიწონეს ქართველ სტუდენტთა ნამუშევრები, მათი სამეცნიერო წრეების საქმიანობა, საფიქრალი დაბრუნებისას კი მოხსენებები წაიკითხეს თბილისის სამხატვრო აკადემიის მიღწევებზე და ქართული ისტორიული ძეგლების მხატვრულ-კომპოზიციურ ღირსებებზე, დელეგაციის წევრებმა ალბომებში ჩახატეს ჯვარი, სვეტიცხოველი, ანჩისხატი, მეტეხი, ნარიყალა და ლურჯი მონასტერი.

ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი მ. მალაგოლა ამბობს: „თქენ შეგიქმნიათ დიდებული, თქვენს ტრადიციებზე დამყარებული უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი, რომლის გამოყენებითს დარგებს უდიდესი პერსპექტივა აქვს. ეს თქვენი მომავალი კადრების ოქროს სამჭედლოა“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სხვადასხვა დროს იყვნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნ. ტომსკი, სსრ კავშირის სახალხო მხატვრები ვ. ვუჩეტიჩი, ე. კობრიკი, ფ. რუშეტნიკოვი, დ. შმარინოვი. ნ. ტომსკიმ აღნიშნა, რომ თბილისის სამხატვრო აკადემია თავისი მაღალკვალიფიციური კადრებით მარტო საქართველოსი კი არა, მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეა.

ძალიან მოეწონათ აკადემიის ნამუშევრები ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, კოსმონავტ მფრინავს ვ. ბერეგოვოის (იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის საბჭოს საპატიო წევრია), ლენინგრადის რეპინის სახელობის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის ხელოვნების ისტორიის გამგეს პროფესორ გ. კაგანოვიჩს.

ს. ნაციაშვილი,

თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ჯადოსნური ნაძვისხე და ბავშვები

ერთი კვირის წინათ ბორჯომის ხეობის ტყეში ზამთითა და გრიალით წაიქცა ცადაწვდილი, ზრდადასრულებული ნაძვისხე. მეტყევეებმა გაზომეს და დაადგინეს, რომ თბილისელი ბავშვებისათვის გასაგზავნი ამ საახალწლო ნობათის სიგრძე 20 მეტრს აღწევდა. ერთი დღის შემდეგ ნაძვისხემ ტრალერით თბილისს ჩამოადწია და როცა სპორტის სასახლეში გამართულ პირველ საახალწლო ზეიმზე „თვალი გაახილა“, თავი ისე იგრძნო, როგორც ძველ საუფლოში — ბორჯომის ტყეში. აქ მის გარშემო ისევ შეკრებილიყვნენ რუხი მგლები და მკვირცხლი ბაჭიები, წითური ტურა, ყვავი და, ახე განსაჯეთ, ბაჯბაჯა დათვიც, რომელსაც, ჰოი, საოცრებავ, წელზე ოლიმპიური ხუთი რგოლით დამშვენებული ქამარი შემოერტყა.

ჯადოსნური ნაძვისხისათვის მხოლოდ ერთი რამ იყო უჩვეულო: მის გარშემო უამრავი ბავშვი შეკრებილიყო და ერთობოდა.

ყოველდღე 20 ათასამდე ბავშვი სტუმრობს დედაქალაქის მთავარ ნაძვისხეს, რომლის გარშემო დღეში სამჯერ დიდი საახალწლო ზეიმი იმართება.

მოედნის შუაგულში აღმართულ ვრცელ ესტრადაზე მდგარი ნაძვისხე ზეიმის დაწყებისას მაღლა, ჭერისკენ მიიწევს და ნორჩებს უთმობს ადგილს.

ესტრადაზე კი უჩვენებენ წარმოდგენას „ექიმ აიბოლიტს“, რომლის სცენარი დაწერა ხელოვნების დამსახურებულ მა მოღვაწემ პ. გრუზინსკიმ, ხოლო დადგა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. მირცხულავამ.

სპექტაკლში თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ გ. დიმიტროვის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის სკოლის მოწავლეები, რკინიგზელთა სახლის მოცეკვავეთა ანსამბლი „გაზაფხული“ და საჭარხნო რაიონის ბავშვთა სასულე ორკესტრი, რომელთა გამოსვლას მჭუხარე ტაშით ხვდება ყოველდღე ნორჩი მაყურებელი.

და, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიხარული მოაქვს ბავშვებისათვის თოვლის პაპას (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დავით ხუციშვილი), რომლის გამოჩენასთან ერთად ჭირამდე აზიდული ჯადოსნური ნაძვისხე ესტრადაზე ეშვება და იწყება საერთო ზეიმი.

გ. პაპუაშვილი.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ მოსკოვში 1979 წლის 30 დეკემბერს გამართული 108-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ოფიციალურად დადგენილ სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100704	1—50	100	135639	02*)	500	165272	1—50	100
100895	1—50	100	136823	33*)	500	165597	33*)	5000
101352	16*)	2500	138761	1—50	40	166775	1—50	40
102367	45*)	500	138907	48*)	500	166856	16*)	500
102779	47*)	500	139402	35*)	500	166967	1—50	40
102841	18*)	1000	139577	18*)	500	167067	09*)	500
102986	02*)	500	139974	03*)	500	167461	02*)	500
103469	09*)	500	140709	06*)	500	168142	1—50	100
103942	05*)	500	142343	47*)	500	168335	43*)	500
104009	1—50	40	142828	29*)	500	169054	1—50	40
104207	25*)	500	143280	38*)	1000	170646	28*)	500
104695	20*)	500	143605	48*)	500	170693	21*)	500
104758	27*)	500	143829	27*)	500	173459	12*)	500
106110	05*)	500	143985	12*)	500	173533	1—50	100
106135	21*)	500	144627	30*)	500	174050	1—50	40
107016	30*)	500	145079	29*)	500	174078	04*)	500
107885	01*)	500	145273	32*)	500	174160	07*)	500
108165	49*)	500	145848	1—50	100	174426	50*)	1000
108189	04*)	500	146117	19*)	500	175542	1—50	40
108617	15*)	5000	148033	29*)	500	179052	1—50	40
108792	1—50	40	148205	1—50	100	179405	34*)	500
109334	1—50	100	148812	25*)	1000	179474	08*)	500
110047	47*)	500	149475	42*)	1000	180326	21*)	500
110763	1—50	100	149606	1—50	40	180591	1—50	40
112052	40*)	500	149928	1—50	40	180658	23*)	500
112866	48*)	500	150205	02*)	1000	181020	18*)	500
113876	1—50	40	150405	03*)	500	181217	1—50	40
113936	1—50	40	150812	1—50	40	181492	35*)	500
115233	1—50	40	150953	46*)	500	181880	1—50	40
115399	07*)	1000	151019	46*)	1000	181934	08*)	500
115544	29*)	500	152184	04*)	500	182130	32*)	500
115646	12*)	500	152753	23*)	500	182284	32*)	1000
116552	1—50	40	152764	35*)	500	182305	43*)	1000
116851	18*)	500	153395	19*)	1000	185515	1—50	40
118258	19*)	500	154531	1—50	40	185880	1—50	40
118774	25*)	500	154999	1—50	40	186331	40*)	1000
120295	1—50	40	155087	34*)	500	186512	34*)	2500
121023	22*)	500	155230	1—50	40	186595	05*)	1000
121097	16*)	500	155569	1—50	100	186856	1—50	100
121174	26*)	500	155889	28*)	1000	187711	11*)	500
121420	29*)	500	155976	34*)	500	187895	14*)	500
122027	1—50	40	156403	1—50	40	188228	40*)	500
122518	17*)	500	156484	15*)	500	188362	35*)	500
123840	22*)	500	156828	1—50	100	188955	27*)	500
124039	20*)	500	157021	1—50	40	189217	27*)	500
126432	02*)	500	157733	29*)	500	189239	1—50	100
126920	1—50	40	157912	02*)	500	190100	20*)	1000
127056	13*)	500	158176	34*)	1000	190575	15*)	1000
127732	49*)	500	158268	29*)	500	190791	28*)	500
128454	17*)	500	158361	1—50	40	190971	27*)	500
128492	42*)	500	158915	04*)	500	192851	44*)	500
129314	14*)	500	159016	29*)	500	193440	48*)	500
130869	1—50	40	159092	1—50	40	193687	23*)	1000
130936	23*)	500	159342	48*)	500	195551	1—50	100
131268	16*)	500	159773	45*)	500	195589	01*)	500
131325	47*)	500	160178	12*)	2500	195727	50*)	500
131761	14*)	2500	160971	1—50	100	196389	13*)	500
132180	1—50	40	161256	07*)	500	196752	18*)	500
132218	31*)	500	162177	28*)	500	197052	18*)	500
132233	16*)	500	163091	12*)	500	197936	14*)	500
132641	1—50	40	164291	46*)	1000	199105	09*)	500
133599	1—50	40	165162	1—50	40	199344	1—50	40
133773	39*)	1000	165228	32*)	2500			

ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიანთ ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ქ.მოსკოვის კუიბიშევის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ნ. ბავრილოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.

ტელევიზია

5 იანვარი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.35 — „თქვენთვის მშობლებო“! (მ.), 11.05 — ქართული ფილმ-ზღაპარი „ივანიკა და სიმონიკა“, 12.05 — მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალი „ჯადოსნური ეკრანი“, 12.35 — მხატვრული ფილმი „ლურჯი ფრინველი“ (ფ.), 14.05 — კონცერტი, 14.45 — „ვერნისაჟი“, 15.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — „ჩვენი სოფელი“ — საგელევიზიო პროგრამა, 16.25 — „ჯანმრთელობა“ — საგელევიზიო პროგრამა, 17.50 — ახალგაზრდობისათვის „სწრაფად, მაღალ, ძლიერად და მხიარულად“ (ფ.), 18.15 — ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „საქმე № 701“, პირველი ნაწილი, 19.30 — საესტრადო პანორამა (ფ.), განმეორებით, 20.05 — ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „საქმე № 701“ მეორე ნაწილი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძველებური ვალსი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „საქმე № 701“ მესამე ნაწილი.

მეორე პროგრამით: 16.55 — ბავშვებისათვის — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი“ — პირველი სერია (ფ.), 18.00 — კონცერი, 18.35 — დოკუმენტური ფილმი „ილინსკი მოშჩეკოს შესახებ“, 19.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ნამდვილი თბილისელი და სხვები“ (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — ანაბანა, 10.35 — თქვენთვის, მშობლებო!, 11.05 — 1905 წელი რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებში, 11.30 — მეგი კარგი საქონელი, 12.00 — ფილმ-სპექტაკლი „პრინცესა და ეძო“, 12.45 — უსაფრთხო მოძრაობა, 13.15 — ცენტრალური გელევიზიისა და საკავშირო რადიოს დიდი აკადემიური გუნდის კონცერტი, 13.45 — არჩევნებიდან არჩევნებამდე, 14.00—სპორტლოგოს ტირაჟი, 14.15 — გამარჯვებულნი. ფრონტგელ მეგობართა კლუბი, 15.50 — აშკარა — დაუჯერებელი, 16.50 — გელესპექტაკლი, 17.30 — რუსულ ხალხურ საკრავთა აკადემიური ორკესტრის გამოსვლა, 18.05 — მეცნარეული სამყაროს მრავალფეროვნება, 19.05 — მულტფილმები, 19.25 — თანამეგობრობა. გელეკურნალი. 20.00 — ხელოვნების ფესტივალის „რუსული ზამთრის“ დასკვნითი კონცერტი. შესვენებისას (22.00) — „ვრემია“, 23.35 — დოკუმენტური ფილმები სპორტის შესახებ.

მეოთხე პროგრამით: 11.00 — ჩვენი ბაღი. 11.30 — ჯადოსნური კარუსელი, 12.05 — რუსული ენა, 12.35 — ჭადრაკის სკოლა, 13.05 — გადაცემა ნორჩი ტექნიკოსებისათვის, 14.20 — თეატრალური აფიშა, 15.20 — გელესეგადიონი, 15.50—ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის ორგზის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის კონცერტი, 16.50 — კინომოგზაურობის კლუბი, 17.50 — ნ. დოლინინა. „ნარ-ნარი ადამიანები“. გელესპექტაკლი. თავი პირველი — „ვლადიმერ როდიონოვი“, 19.00 — „თემა და ვარიაციები“. ფილმ-კონცერტი, 19.40 — ცხოვრების საგზური. გელემაყურებელთა წერილებზე უპასუხებს რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი ბ. ნემეტსკი, 20.15 — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ცარიოვი კიინხულობს ლირიკას, 21.00 — „ძილი ნებისა, ბაბარეებო!“, 21.15 — კალათბურთი. ვაჟები. კუნანსის „ფალგარრისი“ — ცსკა, 22.00 — დოკუმენტური გელეფილმები, 22.40 — „ბერგამოელი ტრუფალდინო“. მხატვრული ტელევიზია. პირველი და მეორე სერია.

თეატრი

5 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ნაცარქექია** (მე-2 აბონ. მე-7 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შუშანიკის მარტვილობა** (დღისით), **კავკასიური ცარცის წრე** (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მზის ჩასვლის წინ** (დღისით), **იეთიმ გურჯი** (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **თერი კაკა** (დღისით), **სიურპრიზების დღე** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები** (დღისით და საღამოს); მეგობის თეატრი — **გარეთ კარის წინ** პრემიერა; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **კარებს აჯაბუხუნებენ;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **„ივერია“, მუსიკალური წარმოდგენა „ჩხიკვთა ქორწილი“;** რუსთავის დრამატული თეატრი რკინიგზელთა სახლში — **ღამის ამბავი** (დღისით და საღამოს).

მოსკოვური დღიურები

უკრავს ელისო ვირსალაძე

არქიტექტორთა ცენტრალური სახლის დიდ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ელისო ვირსალაძის კონცერტი. მუსიკოსმა ჩვეული ბრწყინვალებით შეასრულა მოცარტის, შუმანის, პროკოფიევის და შოპენის ნაწარმოებები.

ხალხით სავსე დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ქართველი პიანისტის უზადო ხელოვნებას.

იღებენ ახალ ფილმს

„მოსფილმში“ რეჟისორები ა. ალოვი და ვ. ნაუმოვი შეეცარიის „პროდის ფილმ აგ“ და საფრანგეთის კინოფირმა „მედიტერანე სინემასთან“ ერთად იღებენ ორსერიიან ფერად ფილმს „თეირანს“. გადაღებები იწარმოებს სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში.

სურათი ჩაფიქრებულია როგორც პოლიტიკური დეტექტივი. იგი ასახავს მეორე მსოფლიო ომის მეოცეკრე დღეებს, როცა ვერმახტის სადაზვერვო სამსახურებს განზრახული ჰქონდათ თეირანის კონფერენციის დღეებში განეხორციელებინათ თავდასხმა „დიდ სამეულზე“ — ი. სტალინზე, ფ. რუზველტსა და უ. ჩერჩილზე...

სცენარის ავტორები არიან მ. შატროვი, ა. ალოვი და ვ. ნაუმოვი, ოპერატორი — ვ. ჟელეზნიაკოვი, მხატვარი — ე. ჩერნია, კომპოზიტორი — მ. ვაინბერგი.

მომავალ ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა და უცხოელი კინომსახიობები.

პირველი იყო ქართველი მევიოლინე

ჩაიკოვსკის სახელობის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. ორკესტრს დირიჟორობდა რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, საკავშირო ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი ა. ლაზარევი. სოლისტი იყო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლიანა ისაკაძე. შესრულდა კომპოზიტორ შოინბერგის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. პირველად ლიანა ისაკაძემ შეასრულა ჩვენს ქვეყანაში.

აეროვაგზლის რეკონსტრუქცია

მოსკოველები და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრები კარგად იცნობენ ლენინგრადის პროსპექტზე მოთავსებულ აეროვაგზალს. ეს უზარმაზარი სპალერა ქიმკარი 1966 წელს ჩადგა მწყობრში.

მგზავრების უკეთ მომსახურეობის მიზნით ახლახან დაიწყო აეროვაგზლის შენობის რეკონსტრუქცია, მისი უზარმაზარი დარბაზის ინტერიერების გადაკეთება.

რეკონსტრუქციის სამუშაოებს ხელმძღვანელობს ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ზ. წერეთელი.

რეკონსტრუქცია 1980 წლის იანვარში დამთავრდება.

დ. მაჭავარიანი,

„კომუნისტის“ სპკ. კორ.

სახალხო თეატრის სცენაზე

ამ დღეებში ზესტაფონის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ალ. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. წერეთელმა, საკავშირო ფესტივალის ლაურეატებმა რ. აბესაძემ და დ. კაკაბაძემ, საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ნ. შიუკაშვილმა, ნ. წერეთელმა, მ. არევაძემ, თ. შორშაძემ, ე. გაჩეჩილაძემ და თ. ძიგანიძემ დამაჯერებელი სახეები შექმნეს. მაყურებელს აღელვებს სპექტაკლში წამოჭრილი სადღეისო მწვავე პრობლემები. ავტორი ხმამაღლა და გაბედულად ლაპარაკობს ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მანკიერ მოვლენაზე, რომელთა აღმოსაფხვრელად მტკიცედ უნდა იბრძოდეს ყოველი ჩვენთაგანი.

მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში იყო აღიარება იმ დიდი მოწონებისა, თვითმოქმედმა მსახიობებმა, რეჟისორმა (გ. წერეთელი), მხატვარმა (ჯ. ალხანაშვილი — საკავშირო ფესტივალის ლაურეატი) და დრამატურგმა ალ. ჩხაიძემ რომ დაიმსახურეს.

წარმოდგენის შემდეგ მოეწყო სპექტაკლის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის აგიტაციათ-პროპაგანდის, განყოფილების გამგე გ. ბუჩუკანაძე, პედაგოგები ც. მელაძე, გ. გაჩეჩილაძე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მდივანი თ. კუბლაშვილი, ჟურნალისტები მ. ვარდოსანიძე, ა.ა. ფოცხვერაშვილი, თეატრის მთავარი რეჟისორი რ. აბესაძე, სპექტაკლის დამდგმელი გ. წერეთელი.

ნ. გომართელი,

საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილების გამგე.

კოლხეთის მინდია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ზუგდიდის ფილიალის კოლექტივმა საზეიმო გაკილება მოიწყო თავის უხუცეს მებაღეს ნიკო კორდღელიას. საუკუნეს მიტანებულ კოლხეთის მინდიას გულმოდგინედ მეიხლმნენ ფილიალის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ლატარია და მისი ღვაწლის სხვა დამფასებლები.

იუბილარის გვარი შეტანილია ფილიალის საპატიო წიგნში.

ზ. ცხონდია,

რაიონული და საქალაქო გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციის განყოფილების გამგე.

„ჭოროხი“ № 1

საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი აჭარის განყოფილების ორგანოს — ჟურნალ „ჭოროხის“ საახალწლო ნომრის ფურცლებიდან (მთავარი რედაქტორი — ალ. სამსონია) მკითხველებს ულოცავენ სოციალისტური შრომის გმირები გრ. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე, ლ. გუდიაშვილი, აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ბ. ოკუჯავას, შ. ზოიძის, დ. თედორაძის, გ. სალუქვაძის ახალი ლექსები და თარგმანები, ნაწყვეტი ჭ. ამირეჯიბის ახალი წიგნიდან „ქველთობა“, რ. ინანიშვილის „ძველებური ელეგია“, ნ. ბერიძის, გ. ქუთათელაძის, მ. მშვიდობაძის ნარკვევები, რ. თვარაძის, ნ. ჯაფარიძის ლიტერატურული წერილები. ჭოროხის ეტიმოლოგიაზე წერს ი. სიხარულიძე. სპორტულ ამბებს ეხება გ. გამრეკელისა და ლ. ქავკარაძის წერილები.

აქვე დაბეჭდილია ნ. მალაზონიას საახალწლო იუმორესკები. ჟურნალს ამშვენებს ლ. გუდიაშვილისა და დ. ერისთავის ნახატები.

ზამთარია...

თოვლის საბანში გახვეულა ბორჯომის რაიონის სოფელი ციხისჯვარი...

ვ. გენგიურის ფოტო.

ხელიფაღის დრონი

სამგამოფენო დარბაზებში

ჰუმანისტის პალიტრა

„თანამედროვეობის თვალსაჩინო მხატვარი“ — ასე უწოდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა თაინ სალახოვმა ქაკ იხმალიანს, რომლის პერსონალური გამოფენა გაიხსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზებში.

ფენჯის ოსტატმა სიცოცხლის 55 წლის მანძილზე (გარდაიცვალა 1978 წელს მოსკოვში, დაკრძალულია ერევანში) შექმნა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც მნახველთ ცხოვრების იდუმალი სიღრმეები გადაუშალეს. მისი შემოქმედება აღსავსეა დიდი სიკეთითა და ადამიანურობით, კეთილშობილებით წარმოსახავს რომანტიკულ ოცნებას, ნამდვილ აქტიურ ჰუმანიზმს.

ამის შესახებ ილაპარაკა გამოფენის გახსნაზე საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თაყაიშვილმა. ფერმწერის მდიდარი პალიტრის, მისი არაჩვეულებრივი ფერთა გამის შესახებ ილაპარაკეს ვერნისაჟზე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების, სახელმწიფო სურათების გალერეის მუშაკმა, მხატვრებმა.

დამსწრეთ მხურვალე მადლობა გადაუხადა მხატვრის მეუღლემ მარი იხმალიანმა.

ქაკ იხმალიანის ნამუშევრებმა მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქინფორმი).

ჯადოსნური ნაძვისხე და ბავშვები

ერთი კვირის წინათ ბორჯომის ხეობის ტყეში ზამთითა და გრიალით წაიქცა ცადაწვდილი, ზრდადასრულებული ნაძვისხე. მეტყევეებმა გაზომეს და დაადგინეს, რომ თბილისელი ბავშვებისათვის გასაგზავნი ამ საახალწლო ნობათის სიგრძე 20 მეტრს აღწევდა. ერთი დღის შემდეგ ნაძვისხემ ტრალერით თბილისს ჩამოადწია და როცა სპორტის სასახლეში გამართულ პირველ საახალწლო ზეიმზე „თვალი გაახილა“, თავი ისე იგრძნო, როგორც ძველ საუფლოში — ბორჯომის ტყეში. აქ მის გარშემო ისევ შეკრებილიყვნენ რუხი მგლები და მკვირცხლი ბაჭიები, წითური ტურა, ყვავი და, ახე განსაჯეთ, ბაჯბაჯა დათვიც, რომელსაც, ჰოი, საოცრებავ, წელზე ოლიმპიური ხუთი რგოლით დამშვენებული ქამარი შემოერტყა.

ჯადოსნური ნაძვისხისათვის მხოლოდ ერთი რამ იყო უჩვეულო: მის გარშემო უამრავი ბავშვი შეკრებილიყო და ერთობოდა.

ყოველდღე 20 ათასამდე ბავშვი სტუმრობს დედაქალაქის მთავარ ნაძვისხეს, რომლის გარშემო დღეში სამჯერ დიდი საახალწლო ზეიმი იმართება.

მოედნის შუაგულში აღმართულ ვრცელ ესტრადაზე მდგარი ნაძვისხე ზეიმის